

მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში

(გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება)

ადამიანის უფლებათა ცენტრი

2011 წ.

30 მაისი - 3ივლისი / 18 ივლისი - 4 სექტემბერი



მედიამონიტორები: ალექო ცქიტიშვილი

სალომე აჩბა

შორენა ლათათია

თეა თოფურია

მეთოდოლოგიის მიმოხილვა

მედიამონიტორინგის პერიოდი: 30 მაისი-3ივლისი/ 18ივლისი-4 სექტემბერი

გარემოს დაცვითი საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგისთვის შეირჩა სამი ბეჭდური საშუალება: გაზეთები - „ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“ და ერთი ტელევიზია - საზოგადოებრივი მაუწყებელი (დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მომხე“).


მედიასაშუალებები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმებით:

- ტელევიზიის - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მსგავსად, შერჩეული გაზეთების დაფარვის ზონა მთელი საქართველოა
- სხვადასხვა გამოკითხვებით, ჩვენ მიერ შერჩეული გაზეთები მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე მაღალტირაჟიან, რეიტინგულ და გაყიდვად გამოცემათა რიცხვს. შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მათი გავლენა დიდია. რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, მას კერძო ტელევიზიებზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოების წინაშე; გარემოსდაცვითი საკითხების სათანადოდ გაშუქება კი მისი მოვალეობაა.
- შერჩეული მედიასაშუალებები შედარებით მეტადაა ფოკუსირებული მედიამონიტორინგის თემაზე - გარემოს დაცვაზე.

მედიამონიტორინგმა თორმეტკვირიანი მონიტორინგის შედეგად ჯამში 78 სტატია და 63 სიუჟეტი გავაანალიზეთ.

„მომხეში“ გარემოსდაცვითი სიუჟეტებისთვის დათმობილი დროის საერთო ჯამია - 9531 წმ. ბეჭდური მედიაში გარემოს დაცვის თემაზე გამოქვეყნებული სტატიების ფართობი პროცენტულად, იხილეთ გრაფიკზე:

გრაფიკი. 1. გარემოსდაცვითი პუბლიკაციების საერთო ფართობი პროცენტულად



მედია მონიტორინგისთვის შერჩეული ქვეთემები:

- სტიქიები და ბუნებრივი კატასტროფები;
- ეკოლოგია, ეკოლოგიური გარემო;
- ეკომიგრანტები;
- ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია;
- კლიმატის ცვლილებები;
- ბუნებრივი რესურსები.

ინდიკატორები

რაოდენობრივი კომპონენტი

- სივრცე;
- ტონი;
- თემატიკა;
- გეოგრაფია, რეგიონი.

თვისებრივი კომპონენტი

- ბალანსი (წყაროთა რაოდენობა);
- ობიექტურობა, მიუკერძოებლობა;
- ფაქტებზე აგებული გაშუქება;
- პოზიციონირება;
- არაეთიკური ეპითეტები;
- ჟურნალისტის კვალიფიციურობა;

3 გაზეთის („რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ალია“) და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხუთკვირიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ზოგადი ტენდენცია:

- გარემოსდაცვითი საკითხების სპონტანური და ფრაგმენტული გაშუქება;
- გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ჟურნალისტების ზერელე დამოკიდებულება;
- ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის ნაკლებობა;
- გარემოსდაცვით საკითხებში ჟურნალისტთა ნაწილის არაკომპეტენტურობა;
- გარემოსდაცვითი თემატიკის მრავალფეროვნების ნაკლებობა;
- ბეჭდურ მედიაში რეგიონებიდან მომზადებული მასალების ნაკლებობა.

მონიტორინგის შედეგები

I

გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „მომხეშეში“


(მედია მონიტორი: ალექო ცქიტიშვილი)

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დღის მთავარ საინფორმაციო გადაცემა „მომხეშეში“, თორმეტკვირიანი მედიამონიტორინგის პერიოდში, გარემოსდაცვით საკითხებზე 63 სიუჟეტი გავიდა, საერთო ჯამში 9 531 წამის მოცულობით.

გარემოს დაცვა საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და პრობლემატური თემაა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ასეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემა სისტემატიურად და სიღრმისეულად გააშუქოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი არ არის კომერციული ტელევიზია, რის გამოც, მას საზოგადოების წინაშე აქვს ვალდებულება, გარემოს დაცვის პრობლემები გააშუქოს იმისდა მიუხედავად, კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი იქნება თუ არა ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტები და გაიზრდება თუ არა „მოამბის“ რეიტინგი.

„მოამბის“ ბადეში კომერციული რეკლამები არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გადაცემა აქცენტს არ უნდა აკეთებდეს მხოლოდ სკანდალურ, სენსაციურ და მაყურებლის მოსაზიდად საჭირო თემებზე. „მოამბე“ უნდა ასრულებდეს იმ ვალდებულებას, რაც საზოგადოების წინაშე აკისრია. ჩვენი მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გადაცემა „მოამბეს“ ჟურნალისტები გარემოს დაცვის საკითხებს ძირითადად ზედაპირულად, კრიტიკული ანალიზისა და თემის სიღრმისეული მომზადების გარეშე აშუქებენ.

გრაფიკი 2.



როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, ჩვენს მიერ შერჩეული ქვეთემებიდან პროცენტულად ყველაზე დიდი ადგილი - 80% დაეთმო სტიქიებისა და ბუნებრივი კატასტროფების გაშუქებას, 10% - გლობალურ დათბობასა და კლიმატურ ცვლილებებზე მომზადებულს სიუჟეტებს, 6 % - ეკოლოგიასა და ეკოლოგიურ გარემოს, 4% კი - კონსერვაცია/ბიომრავალფეროვნების თემას.

ბიომრავალფეროვნებისა და კონსერვაციის თემაზე, 22 ივნისის „მოამბეში“ მომზადებულ სიუჟეტს - „საგანგაშო დასკვნას“ ჩვენ ყველაზე საუკეთესო სიუჟეტად მივიჩნევთ, რაც კი მედიამონიტორინგის ფარგლებში ვნახეთ. საკითხები გაშუქებულია სიღრმისეულად, სათქმელი და პრობლემატიკა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ხაზგასმულია პრობლემის არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა, ჟურნალისტის კვალიფიკაცია ექვს არ იწვევს და წყაროების რაოდენობაც საკმარისია

იმისათვის, რომ მაყურებელი ჩაწვდეს პრობლემის არსს. სამწუხარო, ასეთი სრულყოფილი სიუჟეტები გარემოსდაცვით პრობლემებზე არათუ იშვიათობაა, არამედ პრაქტიკულად, არ არის.

აქვე მოვიყვანთ საპირისპირო მაგალითს, როცა სიუჟეტი გარემოს დაცვის პრობლემატიკის უგულვებელყოფით არის მომზადებული. ეს არის 6 აგვისტოს „მოამბეში“ გასული ორწუთნახევრიანი სიუჟეტი - „**მტაცებლები მარნეულში**“. მასში საუბარია მარნეულის სოფლებში ტურების შემოსევის შესახებ და ადამიანებზე თავდასხმის ფაქტებზე. დაზარალებულები ყვებიან, როგორ დაკბინეს ტურებმა. ჟურნალისტი ამბობს, რომ მხეცების შემოსევა მაღალმა სიცხემ განაპირობა. თუმცა, რაზე დაყრდნობით აკეთებს ამ დასკვნას, სიუჟეტში არ ჩანს. არ არის არც რომელიმე სპეციალისტის კომენტარი, რომელიც ამ ვერსიას განავითარებდა. აღნიშნული სიუჟეტი ჩვენ მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებში არ შევიყვანეთ და მას მხოლოდ თვისობრივ ანალიზში ვახსენებთ. ვფიქრობთ, რომ ეს სიუჟეტი უფრო სოციალური ხასიათისაა და არ ეხება გარემოს დაცვის პრობლემებს. ამავე დროს, მასზე ყურადღებას იმითომ ვამახვილებთ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საზოგადოებას აგრესიულად განაწყობს მტაცებელ ცხოველებზე ასეთი ტიპის სიუჟეტებით, სადაც ჟურნალისტი არაკვალიფიციურად წარმოადგენს მტაცებელთა ცხოვრების წესს და ნათლად ვერ ხსნის ადამიანებზე მათი თავდასხმის მიზეზებს.

გარემოს დაცვის თემაზე ყველაზე პოპულარული ქვეთემა - სტიქიები და ბუნებრივი კატასტროფები, უმეტესწილად, ზედაპირულად, ზერელედ, არასიღრმისეულად და ზოგჯერ მიკერძოებულად არის გაშუქებული. საქართველოში განვითარებული სტიქიური მოვლენების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგებელთა კომენტარებს. მედიამონიტორინგის 12-კვირიან პერიოდში გარემოს დაცვის თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში არც ერთხელ არ ყოფილა წარმოდგენილი რომელიმე ოპოზიციური პარტიის კომენტარი. მართალია, სიუჟეტები, ძირითადად, ფაქტებზეა აგებული, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის კომენტარებიც მრავლად არის მოწოდებული, მაგრამ ამ ფაქტებს არასოდეს უკეთდება კრიტიკული ანალიზი. აქცენტი გაკეთებულია სტიქიის შედეგებზე, რაზეც სიუჟეტების სათაურებიც მიგვანიშნებს. „სტიქიის შედეგები“ - ასეთი სათაური მონიტორინგის პერიოდში რამდენჯერმე განმეორდა. ჟურნალისტები არ საუბრობენ სტიქიის მიზეზებზე, ასევე არ განიხილავენ საკითხს, შეიძლებოდა თუ არა სტიქიით მიყენებული ზარალის შემცირება ან თავიდან არიდება - ცენტრალური ხელისუფლება, რეგიონალური ადმინისტრაციები და ადგილობრივი თვითმმართველობები სათანადო ყურადღებას რომ უთმობდნენ პრევენციულ ღონისძიებებს: მდინარისპირა თუ გზისპირა დამცავი ჯებირების მშენებლობას, საგზაო ინფრასტრუქტურის ხარისხიან მოწყობას და ა. შ. „მოამბის“ სიუჟეტებში დამნაშავედ მხოლოდ „მრისხანე ბუნებაა“ გამოცხადებული, რომლის წინაშე მოსახლეობა უსუსური და უიმედოა.

„მოამბის“ ჟურნალისტების ზერელე დამოკიდებულებაზე მეტყველებს რესპოდენტთა იდენტიფიკაციის პრობლემაც. რესპოდენტთა დიდი ნაწილის ვინაობა ხშირად არ არის ნაჩვენები ტიტრებით. ეს პრობლემა, ძირითადად, ეხება სტიქიით დაზარალებულებს. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა სავარაუდოდ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგზაო ინფრასტრუქტურის წარმომადგებელთა ვინაობა ტიტრებით არ იყო განმარტებული. მაგალითად, 17 ივნისის „მოამბეს“ სიუჟეტებში: „წყალდიდობა თბილისში“ (#6) „სტიქია აღმოსავლეთ საქართველოში“ (#7) და „წყალდიდობა თურქეთში“ (#8) - ტიტრები არ ადევს არა მარტო სტიქიით დაზარალებულებს, არამედ სხვა რესპოდენტებსაც, რომლებიც

სავარაუდოდ, სახელმწიფო მოხელეები არიან. ამ ხარვეზის გამო ჩვენ ეს რესპოდენტები ვერც ერთ სუბიექტს ვერ მივაკუთვნეთ.

ჟურნალისტების ზერელე და ზედაპირულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს არალოგიკურად მოკლე, დაუსრულებელი სიუჟეტები, როგორცაა 2 ივნისის სიუჟეტი - „სტიქია დუშეთში“. ამ შემთხვევაში თემა ლოგიკურად არის პოზიციონირებული - მე-3 სიუჟეტი „მოამბის“ საინფორმაციო ბადეში, მაგრამ არალოგიკურად მოკლეა - გრძელდება მხოლოდ 1 წუთი. ეს მაშინ, როცა მომდევნო #5 სიუჟეტს - „პრეზიდენტი იტალიაში“ 8 წთ და 30 წამი ეთმობა. ამავე დროს „სტიქია დუშეთში“ დაუსრულებელია და მოულოდნელად წყდება. დიქტორი აცხადებს: „მოამბეს გადამღები ჯგუფი განაგრძობს ადგილზე მუშაობას და ახალ ინფორმაციას მიღებისთანავე მოგაწვდით“. თუმცა, საინფორმაციო გამოშვება ისე დასრულდა, მაყურებელს დაპირებული „ახალი ინფორმაცია“ არ მიუღია...


კიდევ ერთი მაგალითი - 23 ივნისის „მოამბე“ სტიქიების თემაზე ორ სიუჟეტს გვთავაზობს - „სტიქიის შედეგები“ (#9) და „მიწისძვრა თურქეთში“ (#10). თურქეთზე სიუჟეტი უფრო მეტი ხანგრძლივობისაა (1 წთ. 55 წმ.), ვიდრე საქართველოში სტიქიების ამსახველი სიუჟეტი (1 წთ. 18 წმ.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მოამბის“ ჟურნალისტები დიდ დროს უთმობენ ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარებს, მათ საქმიანობას წარმოაჩენენ დადებითად. ძირითადად, ასახავენ, რომ ხელისუფლება დროულად ჩადის სტიქიის ადგილზე და დროულად იწყებს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს.

მაგალითად, 3 ივნისის „მოამბემ“ მოამზადა შემაჯამებელი სიუჟეტი საქართველოში მიმდინარე სტიქიური პროცესებისა და დაზარალებული რეგიონების შესახებ. ვფიქრობთ, ამ სიუჟეტის პოზიციონირება (#10) სადავოა. აქტუალურობიდან გამომდინარე, უფრო წინაც შეიძლებოდა გაშუქებულიყო ეს თემა. დაზარალებული მოქალაქეების კომენტარების გარდა, ჟურნალისტმა ქვემო ქართლში ადგილზე ჩაწერა რეგიონული განვითარების მინისტრი და გუბერნატორი, ხოლო კახეთში - ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი. ისინი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლება დაზარალებულებს ეტაპობრივად მოუგვარებს ყველა პრობლემას. კარგი იქნებოდა, ადგილობრივ ოპოზიციურ პარტიებსაც მისცემოდათ აზრის გამოხატვის საშუალება და ესაუბრათ მიზეზებზე - რატომ ვერ ხერხდება სტიქიის პრევენცია ნაწილობრივ მაინც. ასევე საინტერესო იქნებოდა გარკვევა, რეალურად შეასრულეს თუ არა დანაპირები ხელისუფლების წარმომადგენლებმა. თუმცა, ამ თემაზე „მოამბის“ მომდევნო გამოშვებებში აღარაფერი თქმულა.

ასეთივე მიდგომით გააშუქა „მოამბემ“ 7 ივნისის „სტიქია აღმოსავლეთ საქართველოში“. სიუჟეტში (#8) საუბარია მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში წყალდიდობებითა და მეწყერებით დაზარალებულ მოსახლეობაზე. თემა ფაქტებით არის გაშუქებული. თუმცა, არ არის ამ ფაქტების კრიტიკული ანალიზი. მაგალითად, სიუჟეტში ნათქვამია, რომ სტიქიამ ბეტონის ჯებირები დაანგრია. არ არის გაანალიზებული, ხომ არ იყო ჯებირები უხარისხოდ აშენებული. ამ თემაზე შეიძლებოდა სპეციალისტების, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა და გარემოს დაცვის ექსპერტების ჩაწერა. სიუჟეტით დადებითად არის გაშუქებული ხელისუფლების საქმიანობა, რაც ჟურნალისტს მიკერძოებაში უნდა ჩავუთვალოთ.


გრაფიკი 3. გაშუქების ტონი



ზოგადად, გარემოს დაცვის თემაზე სიუჟეტები არაპოლიტიკური ხასიათისაა. ამიტომ „მოამბეს“ ჟურნალისტების მიკერძოება ისეთ დიდ მასშტაბებს არ აღწევს, როგორც ეს თვალშისაცემია მართლმსაჯულების ან პოლიტიკურ თემებზე მომზადებულ სიუჟეტებში. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ გარემოსდაცვით თემებზე, მედიამონიტორინგის პერიოდში, უარყოფითი ტონით არც ერთი სუბიექტი არ გაშუქებულა. სუბიექტები, ძირითადად, დადებითი და ნეიტრალური ტონით გაშუქდა. მიკერძოების დანახვა მაინც შეიძლება გრაფიკზე, სადაც ჩანს, რომ დადებით ტონში მხოლოდ ხელისუფლება, სამხარეო ადმინისტრაციები და სამამველო სამსახურია გაშუქებული.

გარემოს დაცვის პრობლემებზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სიუჟეტების თითქმის 40% საზღვარგარეთის ამბებს ეხება. ეს დისბალანსი კარგად ჩანს გრაფიკზე:


გრაფიკი 4. რეგიონები



საზღვარგარეთ მომხდარი სტიქიების შესახებ სიუჟეტები უმეტესწილად უფრო ზერელედ და ზედაპირულად არის მომზადებული. მაგალითად, 8 აგვისტოს „მომხმის“ #10 სიუჟეტში, რომელიც ეხება ქარიშხალ „აირენს“, გაიმეორეს წინა დღის „მომხმის“ გასული კადრები და კომენტარები. სამჯერ განმეორდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ერთი და იგივე კომენტარი 30-31 აგვისტოს და 1 სექტემბრის სიუჟეტებში, რომელიც აშშ-ში მძვინვარე ქარიშხალსა და შტორმს ეხებოდა.


საინტერესოა, რომ სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო დაზარალებულებს (1329 წმ.) და ექსპერტებს (777 წმ.) ეთმობა. ეს მარტივად აიხსნება: სტიქიებისა და ბუნებრივი კატასტროფების თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში დაზარალებულები ყველაზე პოპულარული რესპოდენტები არიან. ასევე პოპულარულები არიან ექსპერტები არა იმიტომ, რომ მათი აზრი ანალიზისთვის არის გამოყენებული. ძირითადად, ეს ექსპერტები არიან სინოპტიკოსები და მეტეოროლოგები, რომლებიც სიუჟეტების ფინალში ხან ავდარს, ხან კი გამოდარებას პროგნოზირებენ.

გრაფიკი 5. სუბიექტების გაშუქების დრო



ამავე დროს, აღნიშნული ექსპერტების მოსაზრებები, უმეტესწილად, ირიბად არის გაშუქებული, ანუ ჟურნალისტები იყენებენ ქართულ ჟურნალისტიკაში დამკვიდრებულ ფრაზებს: „ექსპერტების აზრით“, „ექსპერტთა შეფასებით“... თვითონ ექსპერტები კი სიუჟეტში არ ჩანან. სწორედ ასევე, ირიბად არის გაშუქებული ხელისუფლების საქმიანობაც, რაც კარგად ჩანს მე-6 გრაფიკზე:

გრაფიკი 6. სუბიექტების გაშუქების ტიპი (პირდაპირი/ირიბი)



ვფიქრობთ, „მოამბესთვის“ დამახასიათებელია გარემოს დაცვის პრობლემებისადმი სტერეოტიპული მიდგომა, რომლის თანახმადაც, გარემოს დაცვა, ბუნებაზე ზრუნვა მეორეხარისხოვანი თემაა და მაყურებელს ნაკლებად აინტერესებს. წლების განმავლობაში ასეთივე სტერეოტიპული მიდგომა აქვს საქართველოს მთავრობას, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს მეორეხარისხოვან უწყებად განიხილავს. შესაბამისად, საზოგადოებაშიც იქმნება განწყობა, რომ გარემოს დაცვა სახელმწიფოს პრიორიტეტი არ არის. კარგი იქნება, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი გაითვალისწინებს ჩვენი მედიამონიტორინგის მასალებს და რადიკალურად შეცვლის მიდგომებს და მეთოდებს გარემოს დაცვის საკითხების გაშუქებისას.

II

ბექდური მედია („ალია“; „რეზონანსი“; „ახალი თაობა“)


რაოდენობრივი კომპონენტი

სტატიების თემატიკა

მონიტორინგის განმავლობაში ჩვენ მიერ შერჩეულ გაზეთებში: „ახალი თაობა“ „რეზონანსი“ და „ალია“, საერთო ჯამში, გარემოსდაცვით საკითხებზე სულ 78 სტატია დაიბეჭდა. სამივე გამოცემაში ყველაზე ხშირად, სტატიები სტიქიურ მოვლენებს შეეხებოდა. გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული მასალებიდან მხოლოდ ერთი ეხებოდა ბიომრავალფეროვნებასა და კონსერვაციის საკითხს, დანარჩენი კი მთლიანად სტიქიას. „ახალი თაობაში“ კი, გარემოსდაცვით თემებზე დაბეჭდილი ყველა პუბლიკაცია სტიქიასა და ბუნებრივი კატასტროფების თემატიკას ეხებოდა. შედარებით უფრო მრავალფეროვან თემატიკას გვთავაზობს გაზეთი „რეზონანსი“, რომელშიც სტიქიური მოვლენების გარდა, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შეგვხვდა ეკოლოგიასთან, კლიმატის ცვლილებებთან, ბიომრავალფეროვნებასა და კონსერვაციასთან დაკავშირებული საკითხები.


გაზეთ „რეზონანსში“ ქვეთემებისთვის დათმობილი ფართობი პროცენტულად ასე გამოიყურება: (გარემოსდაცვითი სტატიების საერთო ფართობი 4198 სმ.კვ)

გრაფიკი 7.



რაც შეეხება გაზეთ ალიას, აქ გარემოსდაცვითი საკითხებისთვის დათმობილი მთელი სივრცის (2105 სმ კვ.) მხოლოდ 22 პროცენტი დაეთმო ქვეთემას „ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია“, დანარჩენი 78 პროცენტი კი - „სტიქიებსა და ბუნებრივ კატასტროფებს“.

გრაფიკი 8. გაზეთ „ალიაში“ ქვეთემებისთვის დათმობილი სივრცე პროცენტულად:




მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ გარემოსდაცვითი საკითხებით გამოცემები (განსაკუთრებით ეს „ალიას“ და „ახალ თაობას“ ეხება) ინტერესდებიან მხოლოდ მაშინ, როცა უშუალოდ სტიქიური მოვლენები ხდება. მათი ჟურნალისტური მასალა კი მხოლოდ მოვლენის, ფაქტის დაფიქსირებითა და აღწერით, მყისიერი, ფრაგმენტულად გაშუქებით შემოიფარგლება. არ ხდება საკითხის განზოგადება და პრობლემის ანალიზი. გარემოსდაცვით საკითხებზე მომზადებული მასალების სრული უმრავლესობა ე.წ. „ნიუსია“. იშვიათად ვხდებით ამ თემაზე მომზადებულ ანალიტიკურ მასალას.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რაც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა - ივლისის თვიდან სამივე გამოცემაში საგრძნობლად იკლო გარემოსდაცვით თემებზე მომზადებულმა მასალებმა. სავარაუდოდ, ამის მიზეზია ის, რომ ივლის-აგვისტოში საქართველოში მასშტაბური სტიქიური მოვლენები არ ყოფილა. ივლისიდან სტატიების რაოდენობის ამგვარი კლება კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ ეჭვს, რომ ეს გამოცემები გარემოსდაცვითი საკითხებით მხოლოდ მაშინ ინტერესდებიან, როცა სადმე რაიმე სახის სტიქიური მოვლენა ხდება, რაც ე.წ. „ნიუსის“ სახით შუქდება ხოლმე.


სტატიების გეოგრაფია

სამივე გაზეთში „ალიაში“, „ახალ თაობასა“ და „რეზონანსში“ მასალები ყველაზე ხშირად თბილისიდან და კახეთის რეგიონიდან შუქდება. სტატიების განსაკუთრებული სიმცირე აჭარიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სამეგრელოდან შეინიშნება. გაზეთ „ალიასა“ და „ახალ თაობაში“ კი, რამდენიმე რეგიონი, მაგ: გურია, სამცხე-ჯავახეთი საერთოდ არაა გაშუქებული.

გრაფიკი 9. გაზეთი „ალია“ (სულ 1205 სმ.კვ)




გრაფიკი 10. გაზეთი „ახალი თაობა“ (1790 სმ.კვ.)



ამ კუთხით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა „რეზონანსში“, რომელშიც თითქმის მთელი საქართველოდან ვხვდებით მასალებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ რამდენიმე რეგიონიდან გაშუქებული მასალების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან მცირეა.

გრაფიკი 11. გაზეთი „რეზონანსი“



მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოცემის ჟურნალისტები, როგორც წესი, დედაქალაქიდან დისტანციურად ამზადებენ მასალებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების შესახებ. ისინი იშვიათად ჩადიან და იშვიათად ეცნობიან ადგილზევე საკითხს თუ პრობლემას, რაზეც წერენ.


სუბიექტები

შერჩეული გაზეთები, გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისას, ყველაზე დიდ სივრცეს უთმობენ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, ასევე - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, გარემოს დაცვის სამინისტროსა და „მწვანეთა პარტიას“.


სამივე გამოცემაში ძალიან მცირე სივრცე დაეთმო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. აგრეთვე საერთოდ არ ჩანს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომელიც უშუალოდაა ანგარიშვალდებული საქართველოში მცხოვრები 11 000 ეკომიგრანტის პრობლემების მოგვარებაში.

ასევე გამოიკვეთა ზოგადი ტენდენცია - გაზეთების ჟურნალისტები გარემოსდაცვით საკითხებზე, კერძოდ - სტიქიურ მოვლენებზე წერისას, თითქმის არასდროს აძლევენ უშუალოდ სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას. დაზარალებულები იშვიათად არიან წყაროდ გამოყენებულნი. ამ მხრივ, შედარებით ნორმალური მდგომარეობაა გაზეთ „ალიაში“, სადაც სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირებს ჯამში 177 სმ.კვ. დაეთმოთ


გრაფიკი 12. გაზეთი „ალია“. სუბიექტების გაშუქების სივრცე (სულ: 1205)



გრაფიკი 13. გაზეთი „რეზონანსი“. სუბიექტების გაშუქების სივრცე (სმ.კვ)




გრაფიკი 14. „ახალი თაობა“ . სუბიექტების გაშუქების სივრცე (სმ.კვ)



გაშუქების ტონი

სამივე გაზეთში სუბიექტები ძირითადად, ნეიტრალურად არიან გაშუქებულნი. გაზეთ „ალიაში“ მხოლოდ ხელისუფლებას უარყოფითად გაშუქებული, ყველა სხვა სუბიექტის გაშუქების ტონი ნეიტრალურია. ყველა სუბიექტი აგრეთვე ნეიტრალურადაა გაშუქებული გაზეთ „ახალ თაობაში“. რაც შეეხება გაზეთ „რეზონანსს“, აქ უფრო მეტჯერ შეგხვდა დადებითსა და უარყოფით ტონში გაშუქებული სუბიექტები.

გრაფიკი 15. “რეზონანსი”. სუბიექტების გაშუქების ტონი



თვისებრივი კომპონენტი

გაზეთ „ალიაში“, „ახალ თაობასა“ და „რეზონანსში“, გარემოსდაცვითი საკითხები ძირითადად, ე.წ. „ნიუსის“ - მოკლე ინფორმაციული შენიშვნების სახით შუქდება. იშვიათად ვხვდებით ვრცელ, ანალიტიკურ სტატიებს. ეს ფაქტიც მიანიშნებს, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მედიასაშუალებები გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ინტერესს დიდად არ იჩენენ.

ჩვენ მიერ მედიამონიტორინგისთვის შერჩეული გაზეთები, გარემოსდაცვით საკითხებზე სტატიების მომზადებისას, ძირითადად, ინფორმაციის წყაროებად იყენებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და გარემოსდაცვით ორგანიზაციებს. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს კომუნიკაციის პრობლემა მეცნიერებს, ექსპერტებსა და ჟურნალისტებს შორის. ინფორმაციის წყაროდ მეცნიერები და ექსპერტები იშვიათად არიან გამოყენებულნი. საგანგაშო ტენდენციად მიგვიჩნია ის, რომ სტატიების უდიდესი ნაწილი სტიქიურ მოვლენებს ეხება. თუმცა, ძალიან ცოტა მათგანშია უშუალოდ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები წყაროდ გამოყენებული.

ხშირად შეინიშნება, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე წერისას, ჟურნალისტები პირდაპირ, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე აქვეყნებენ ოფიციალური სტრუქტურების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და მას უტყუარ ფაქტად წარმოადგენენ. მაგ: 9-13 ივნისის „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „თბილისში მეწყერის გამო ქალი დაიღუპა“ - ჟურნალისტი ჰყვება დედაქალაქში მეწყერის ჩამოწოლის ფაქტს, რომლის გამოც ერთ-ერთ უბანში სახლი ჩამოინგრა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. „ოჯახს, რომელსაც მეწყერმა შენობა დაუნგრია, გამგეობამ რამდენჯერმე შესთავაზა ალტერნატიული ფართი. თუმცა ისინი გადასვლაზე უარს ამბობდნენ“, - წერს ჟურნალისტი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - საიდან იცის ჟურნალისტმა, რომ გამგეობამ ამ ოჯახს ალტერნატიული ფართი ნამდვილად შესთავაზა? თავად ამ ოჯახს ჰკითხა ამის შესახებ? თუ მხოლოდ გამგეობის ოფიციალურ ინფორმაციას ეყრდნობა? ერთი მხრივ, ინფორმაციის წყარო არაა მითითებული, მეორე მხრივ კი ინფორმაცია გადაუმოწმებელი და ცალმხრივია.

გაზეთ „ალიასა“ და „ახალ თაობაში“ გარემოსდაცვით საკითხებზე დაბეჭდილი პუბლიკაციები ხშირად დაუბალანსებელია. ჟურნალისტი ეყრდნობა ხოლმე ერთ წყაროს და არაა წარმოდგენილი საპირისპირო, განსხვავებული მოსაზრებები. ხშირად გვხვდება ისეთი მასალებიც, რომელშიც ინფორმაციის არც ერთი წყარო არ იკვეთება. ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ გამოცემებში ამგვარ დარღვევებს პერმანენტული ხასიათი აქვს, ბუნებრივია, ეჭვქვეშ აყენებს ჟურნალისტების მიუკერძოებლობის საკითხსაც. რაც შეეხება გაზეთ „რეზონანსს“, ამ გამოცემის ჟურნალისტები, გარემოსდაცვით საკითხებზე წერისას, მეტწილად მიუკერძოებლები და ობიექტურები არიან, მასალები აგებულია ფაქტებზე. თუმცა, ინფორმაცია ყოველთვის არ არის ორ ან მეტ წყაროსთან გადამოწმებული, როგორც ამას ჟურნალისტური სტანდარტი მოითხოვს.

ჩვენ მიერ შერჩეულ გაზეთებში, მონიტორინგის განმავლობაში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული მასალები, როგორც წესი, გაზეთების შუა ან ბოლო გვერდებზე იბეჭდებოდა. იშვიათ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი სტატიის სათაური პირველ გვერდზეც ყოფილა გამოტანილი თუმცა წვრილი ასოებით, ისე რომ დიდად მკითველის ყურადღებას ვერ მიიქცევდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მედიასაშუალებებისთვის გარემოსდაცვითი საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამის სავარაუდო მიზეზად შესაძლოა, დასახელდეს ის, რომ გაზეთებს გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობა კომერციულად მომგებიანად არ მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ ამ თემებისადმი საზოგადოებრივი ინტერესი დიდი არ არის.

შეჯამება და რეკომენდაციები

ჩვენი მედიამონიტორინგის შედეგები რომ შევაჯამოთ, ქართულ მედიაში გარემოსდაცვითი საკითხებისადმი მიდგომები, ძირითადად, ერთნაირია. როგორც ჩვენ მიერ შერჩეული სამი ბეჭდური საშუალების (გაზეთები: „ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“) და ერთი ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი - დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მომბე“) მონიტორინგისას გამოიკვეთა, გარემოს დაცვა ქართულ მედიაში მეორეხარისხოვან თემად ითვლება. ეს სფერო, როგორც წესი, ზედაპირულად შუქდება და არ ხდება პრობლემებისა თუ სხვადასხვა საინტერესო საკითხების ანალიზი. შესაძლოა, გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება კომერციულად მომგებიანი მართლაც არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, ამის მიუხედავად, მედია მაინც მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს ამ სფეროს და უფრო სიღრმისეულად უნდა აუშუქებდეს. ყველაზე მეტად კი ეს ევალება საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც კომერციაზე, რეკლამებზე, რეიტინგზე გათვლილი მედიასაშუალება არ არის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. მას მეტი ანგარიშვალდებულება აქვს საზოგადოების წინაშე.

მედიამონიტორინგის შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებს აშუქებენ, შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გარემოსდაცვითი საკითხები გაშუქდეს უფრო ინტენსიურად და სიღრმისეულად;
2. მომზადდეს მასალები სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე, როგორცაა: კლიმატის ცვლილებები, ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია;
3. მომზადდეს მასალები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ მთელი საქართველოდან;

4. ჟურნალისტები უფრო ხშირად უნდა ჩავიდნენ შემთხვევის ადგილზე, უშუალოდ გაეცნონ პრობლემას და ამის შემდეგ მოამზადონ მასალები;
5. გაიზარდოს კომუნიკაცია მეცნიერებს, ექსპერტებსა და ჟურნალისტებს შორის;
6. გაიზარდოს კომუნიკაცია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს; აგრეთვე - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ჟურნალისტებს შორის;
7. ბეჭდურ მედიაში სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირებს, უბრალო მოქალაქეებს, უშუალოდ მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება. ჟურნალისტებმა უფრო ხშირად გამოიყენონ ისინი ინფორმაციის წყაროებად;
8. ინფორმაციის გამოქვეყნებამდე რამდენიმე წყაროსთან გადამოწმდეს ოფიციალური სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვათა მიერ გავრცელებული ინფორმაცია;
9. დაბალანსდეს მასალა ისე, რომ წარმოჩენილი იყოს განსხვავებული საპირისპირო აზრები, რათა აუდიტორიას მიეცეს აზრის თავად გამოტანის საშუალება;
10. ამაღლდეს ჟურნალისტების ცოდნა და კვალიფიკაცია გარემოსდაცვით სფეროში;